საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/169 „ 2 „ აპრილი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხის, აპარატის მოხელეთა და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების (დანართი 1)“:

ა.ა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;“;

ა.ბ) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.“;

ა.გ) 7^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7^1. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში მათ წარმომადგენლობებთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის დამყარებას და მის შემდგომ წარმართვას;

ბ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე ამზადებს ანგარიშებს და წარადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წინადადებების შემუშავებას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ეროვნული სამოქმედო გეგმების შექმნისა და იმპლემენტაციის პროცესში;

ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პროექტების წარდგენას, მონაწილეობს ან კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების, ასევე უცხო ქვეყნების სათანადო პრაქტიკის მოძიებასა და შესწავლას;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის შემადგენლობაშია საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.";

ა.დ) 7^4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^5 მუხლი:

„მუხლი 7^5. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

1. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი:

ა) ახდენს საზოგადოების ინფორმირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე, უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში მიმდინარე მოვლენების საზოგადოების წინაშე ობიექტურად წარმოჩენას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში მიმდინარე მოვლენების თაობაზე, ამზადებს და ავრცელებს პრესრელიზებს, უზრუნველყოფს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობის დამყარებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობაში პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების, აგრეთვე სხვადასხვა სახის ოფიციალურ ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზებას;

გ) ამზადებს ყოველდღიური პრესის მიმოხილვას, უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფოტო, ვიდეო და სხვა საინფორმაციო მასალების არქივის შექმნას, ამზადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ამსახველ საგამომცემლო მასალებს;

დ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსებას;

ე) განსაზღვრავს სასამართლო სისტემის ერთიან საკომუნიკაციო პოლიტიკასა და შეიმუშავებს სტრატეგიას; უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას, განახლებასა და კორექტირებას. აღნიშნულის მიზნით, საერთო სასამართლოებიდან გამოითხოვს ინფორმაციას მიმდინარე რეფორმებისა და დაგეგმილი აქტივობების თაობაზე, ქმნის და ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლების მონაწილეობით;

ვ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებულ მუშაობას; ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების თანამშრომლობას.

2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.";

ბ) გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები (დანართი 2)" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის	საშტატო ერთეულის	თანამდებობრივი

		რანგი	რაოდენობა	სარგო
	სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	სამართლებრივ საკითხთა სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2200
II	საფინანსო-სამეურნეო სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	მთავარი ბუღალტერი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2600
3.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
4.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		11	
	ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	კანცელარია			
1.	კანცელარიის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	2600
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500
3.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	15	1600
II	მანდატურის სამსახური			
1.	სამსახურის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	2000
2.	მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	5	1500
III	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური			
1.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		25	
	სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
II	სამოქალაქო საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
III	ადმინისტრაციულ საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველო			

1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500
	სულ		7	
	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
I	ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვისა და ანალიზის სამმართველო			
1.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
2.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2200
	სულ		7	
	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	4000
I	საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3500
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		6	
	მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2200
	სულ		7	
	დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატი			
1.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2500
2.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2200
	სულ		7	
	სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის თავმჯდომარე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	4400
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2500
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2200
	სულ		7	
	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	5000
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2500

3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2200
	სულ		3	
	სულ ჯამში		80“.	

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი